ხობის მოამბე

№2 (7105) 7 მარტი,
ხუთშაბათი, 2019 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„თვითმმართველობა უკიდურესი წესია ადგილის კეთილდღეობის საქმეთა. საცა უნდა ვაჟთა, იქი ყოველთა ხელთაა... კეთილი სახელმწიფო, რომელსაც ეყმოდეს ცოდვა თუ ბოროტი ვაჟისა, ხარენდი-ხარენდისადი ანის ვალკეთილია, რომ მოვდა ვალ ანგარიშებსა აღებულია იყოს.”

3 მარტი გაზაფხულის დღესასწაულებს 8 მარტი

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

ძვირფასო ქალბატონებო, დედებო!

გილოცავთ დედის დღეს-3 მარტსა და ქალთა საერთაშორისო დღეს-8 მარტს!

მთელი ჩვენი ისტორია საქართველოს ქალების, დედების სათნოების, გმირობის, თავდადების და გამძლეობის მაგალითი იყო და ასეა დღესაც.

ყველა დედას ეხაროს შვილების ბედნიერებით. ეს ლამაზი დღესასწაულები ემთხვევა გაზაფხულის პირველ დღეებს, დროს, რომელიც ახალ იმედებთან და სილამაზესთან ასოცირდება. ყველა ქალს ვუსურვებ სიყვარულს, ულევ ღიმილსა და ბედნიერებას.

აღსანიშნავია თქვენი წვლილი ქვეყნის განვითარებისა და ეთილდღეობისთვის ბრძოლაში. ქართველი ქალი ოდითგან გმირობის, თავდადებისა და გამძლეობის მაგალითად ითვლებოდა. დღეს ეი თანამედროვე საზოგადოებაში ქალის როლი ეკლავ მნიშვნელოვანია. ჩვენ ერთად შევქმნით თანასწორ და სამართლიან საზოგადოებას.

ირაკლი (დაჩი) ბერაია,
საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატი.

ძვირფასო დედებო, ქალბატონებო!

გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ და მშვენიერ დღესასწაულებს.

ქალს განსაკუთრებული როლი აკისრია სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების საქმეში. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ქართველ ქალთა გმირობისა და თავდადების უტყუარი მოწმეა. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება, ქალები ეკლავაც დგანან ჩვენი სამშობლოს ერთიანობისა და სიძლიერის სადარაჯოზე.

ქალბატონებო, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ სიხარულს და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალბატონებო!

გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს. გისურვებთ გაძლიერებას, ეარიერულ წინსვლას და ჯანმრთელობას.

ფასდაუდებელია თქვენი წვლილი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, საყოველთაო ეთილდღეობის მშენებლობის პროცესში. ქალთა საერთაშორისო დღეს განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა თქვენი უფლებების დაცვის პრიორიტეტულობასა და მნიშვნელობას.

ძვირფასო ქალებო და გოგოებო, მინდა გისურვოთ მეტი შესაძლებლობები, ყოველგვარი წინააღმდეგობების მარტივად დაძლევა და თავისუფალ, ჰარმონიულ გარემოში ცხოვრება!

ედიშერ ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ქალი...

ქალი–ქალია და...
ქალი–აპრილია...
მარტს ვერ შევადარებ-
მარტო მაპატიე!..
მარტომ გადავწყვიტე
ქალზე საუბარი,
მარტომ,-ათას ერთი
ქალის მოსაუბრედ...
ქალი–ქალია და...
ისე ნუ უყურებთ,
თითქოს უსუსური
მინდვრის ლერწამია...
აბა,სხვამ რა იცის,
ქალი რასაც იტევს,
ქალებს ცრემლისფერი
სევდა გვაბარია.
ქალი–დედაა და...
ხელს ნუ მოუღერებთ!..
ქალებს
ღვთისმშობელის
ეალთა გვაფარია...
ხშირად თქვენ ვერ
ხვდებით-როგორ
გაგიმართლათ,
ქალი ბრძოლის
ველზეც
რეინის ფარ-ხმალია!..
ქალებს სინატიფეს
ნეღარ შემოგვაცლით,
ქალი–აპრილია...
ქალი–დაგამშვენებს...
მაგრამ,თუეი ქალმა
ხელი ჩაიქნია-
ნახავ, სისასტიკე
ქვიშად აგამტვერებს!..
ქალი–ქალია და...
ქალი–შემოქმედი...
ქალი უფლის ეარზე,
ცრემლად
გულმდუღარე...
ქალებს
გაუფრთხილდით,
აპრილს ნუ
დააჭენობთ!...
გრძნობის
გაზაფხულებს
ერძალვით
მოუარეთ!...
ქალი–ქალია და...
ქალი–აპრილია...
მარტს ვერ შევადარებ,
მარტო მაპატიე!..

ია ნანეიშვილი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავა.**

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც განხორციელდა სხვადასხვა სახის ცვლილებები, ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებული სხვადასხვა გადანაწილებები.

სხდომაზე მეორე საკითხად განიხილეს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“, რომლის თანახმადაც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი იგივე რჩება, რაც 2018 წელს იყო განსაზღვრული და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შადგენს 12.38 ლარს, სოფლებში–3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში–3.1 ლარს, ხოლო დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) –6.19 ლარს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ზემო ბიაში გზის რეაბილიტაცია დასრულდა

ხობის მუნიციპალიტეტის ბიის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზემო ბიაში გზის რეაბილიტაცია დასრულდა. კეთილმოწყობილი გზა ხობის მუნიციპალიტეტის მერმა, გოჩა ქაჯაიამ და მერის პირველმა მოადგილემ, ვარაზ გაბედავამ დაათვალიერეს.

შიდა სასოფლო გზა ამორტიზირებული იყო და მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემებს უქმნიდა. ინფრასტრუქტურული პროექტი,საქართველოს მთავრობის მიერ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხიდან დაფინანსდა და მისმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 44546 ლარი შეადგინა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ხობის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად 1325000 ლარი გამოეყო.

ალექსანდრე მოწერელიამ მერებს, რწმუნებულებს „თხილის დაცვის პროგრამა“ გააცნო

სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელიამ, საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორთან გიორგი თოდუასთან ერთად, რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებს და ადმინისტრაციულ ერთეულებში მათ წარმომადგენლებს „თხილის დაცვის პროგრამა“ გააცნეს.

შეხვედრაზე სახელმწიფო რწმუნებულმა, რეგიონში თხილის სექტორში არსებულ ვითარებაზე, სახელმწიფო პროგრამასა და დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრა. მისი განმარტებით, კარდაკარის პრინციპით, აქტიურად გაგრძელდება მოსახლეობისთვის პრაქტიკული სამუშაოების გაცნობა. ალექსანდრე მოწერელიამ, სოფლის რწმუნებულებთან შეხვედრაზე „თხილის დაცვის პროგრამა“-ში ჩართვასა და მოსახლეობის მაქსიმალურ ინფორმირებაზე ისაუბრა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „თხილის დაცვის პროგრამაზე“ დარგის წარმომადგენლებთან და საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციასთან ერთად, წლის დასაწყისიდან მუშაობს. ასოციაცია 8000-მდე წევრს აერთიანებს. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს და ასოციაციის მონაწილეობით, შემუშავებულია კომპლექსური ღონისძიებების გეგმა, რომელიც მეთხილე ფერმერებს საშუალებას მისცემს თხილის დაცვის და მაღალი ხარისხის მოსავლის მიღების მიზნით, მავნებლების და სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ დროულად და ეფექტიანად ჩაატარონ აგროსამუშაოები, რათა თავიდან აიცილონ თხილის მოსავლის დაზიანება და ეკონომიკური ზარალი.

ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო შეისყიდის და ასოციაციას გადასცემს 2000 ერთეულ მაღალი ეფექტურობის შესაწამლ აპარატს და უსაფრთხოების საშუალებებს; ასოციაციის ჩართულობით უზრუნველყოფს საკონსულტაციო სამუშაოების ჩატარებას და აგროკონსულტანტების მომსახურებას ფერმერთა ჯგუფებისთვის.

თავის მხრივ, მეთხილეთა ასოციაცია, ასოციაციის წევრებს სთავაზობს შეღავათებს მომსახურებაზე: ნიადაგის გამოკვლევა, თხილის მოვლა-მოყვანისთვის აუცილებელი ტექნიკის გამოყენება, მოსავლის შრობა, სასუქებისა და პესტიციდების შესაძენად აგროკრედიტებზე ხელმისაწვდომობა.

შეხვედრას რეგიონის მერები, სოფლის რწმუნებულები, სურსათის ეროვნული სააგენტოს და ასოციაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის სოფლებში დასახლების კრებები იმართება

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, ზემო ქვალონში, სახოჭოლავოში, ბულიშში, გიმოზგონჯილში, გვიმარონში, დურღენაში, ჭითაუშკურში, საალანიო-საფაჩულიოში და საბაჟოში დასახლების კრებები გაიმართა. კრების მონაწილეებმა ხმათა უმრავლესობით დასახლებისთვის პრიორიტეტულ პროექტებს დაუჭირეს მხარი.

მუნიციპალიტეტის სოფლებში გამართულ კრებებს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები უძღვებოდნენ.

სოფელ გიმოზგონჯილის მოსახლეობასთან გამართულ კონსულტაციას ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა ესწრებოდნენ.

მერმა ადგილობრივებს ქვემო ქვალონის სკოლის მშენებლობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. გოჩა ქაჯაიას განცხადებით–**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის საჯარო სკოლის მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით სკოლა 300 მოსწავლეზეა გათვლილი, ხოლო სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება 4 მილიონ 158 ათასი ლარია.**

დღეისათვის, ხობის მუნიციპალიტეტის 48 სოფელში ჩატარდა დასახლების კრება და გაიმართა მოსახლეობასთან კონსულტაცია.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დაფინანსება გაორმაგდა და ხობის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 784 ათასი ლარი გამოიყო.

3 მარტი გაზაფხულის დღესასწაულებს 8 მარტი გილოცავთ!

შორეული ახლობელი

ჩემი, თუ ზოგადად, ადამიანის განვლილი წლები თითოეულის ცხოვრების ავკარგის მსაჯულია. სხვისა არ ვიცი და მე დრო, ყველაფრის შემძლე და დამთმენი, ხშირად მიმანიშნებს დაშვებულ შეცდომებზე, ტკივილებზე... საბედნიეროდ, ადამიანები ვავსებთ ერთმანეთს, ვუმსუბუქებთ ტკივილებს, ვხარობთ სხვისი სიხარულით. მათი შვილების წარმატებები ბედნიერებით გვავსებს. თუმცა სხვისი სიხარულით და სიყვარულით ცხოვრების სიამოვნება ყველას როდი შეუძლია, მაგრამ უფალი მოწყალეა...

წლებია უფალს იმისთვის ვმადლობ, რომ სხვისი სიყვარულითა და ბედნიერებით ცხოვრება დამანათლა. ეს უდიდესი ბედნიერება არ მომაკლო, სიცოცხლე ამით გამილამაზა.

დროს ყველაფერი მიაქვს, მაგრამ წუთისოფლის ორომტრიალი სიკეთითა და სითბოთიც არის სავსე. ყველაფერი ადამიანური ურთიერთობებით იწყება და ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, არასოდეს მთავრდება... როცა ჩემს ცხოვრებას თვალს ვავლებ, უფლისადმი მადლიერებას გამოვხატავ, ბედნიერი ვარ და ვიხსენებ პოეტის სტრიქონებს „ეს იმ ქალს, იმ ბერიკაცს გაუმარჯოს, ვისი ცხოვრების გზაც ეულია, ვისაც არასოდეს გაუმართლა, მაინც სიყვარული შეუძლია.“

ხობის სინამდვილეში მრავალ ადამიანს ვიცნობ და მაქვს ახლო ურთიერთობა. თამამად შემიძლია ვთქვა, ისინი თავიანთი ბედნიერებით მაბედნიერებენ, მიხარია მათი სიხარული, მტკივა მათი ტკივილი. დღეს მინდა ერთ-ერთი მათგანი–სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის მუნიციპალიტეტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ***მარინა ახალაია*** *თქვენც უფრო ახლოს გაგაცნოთ, ვიდრე იცნობდით...*

როცა ქალბატონ მარინას შევეხმიანე, ვთხოვე გაზაფხულის ლამაზი დღესასწაულები, როგორც ბედნიერ დედას და ბებიას, მოელოცა ქალებისთვის. რა თქმა უნდა, უარი არ უთქვამს, მაგრამ მისი ცხოვრების ამსახველი ძირითადი მომენტები იმდენად შთამბეჭდავი გამოდგა, გადავწყვიტე, უცვლელად დამებეჭდა.

დაე, ყველამ ერთხელ კიდევ გაითავისოს, რომ დიდებული წინაპრები დიდებულ შთამომავლებს ტოვებენ. ოჯახი შეუცვლელი და მთავარი ფაქტორია ადამიანის ცხოვრების ფორმირებაში.

ოჯახი, რომელიც გვეიმედება...

ამონარიდები მისი ბიოგრაფიიდან:

დავიბადე სოფელ საჯიჯაოში–პედაგოგების ოჯახში. დედა–ზაირა ჯიქია საჯიჯაოს საშუალო სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა, მამა–დავით ახალაია კი ჯაპიშაქრის საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას. ჩვენი ოჯახის პედაგოგიური შთამომავლობის სათავე ჩვენი ბაბუადან–გიორგი ახალაიასგან მოდის, რომელიც სოფელ საჯიჯაოს პირველი დაწყებითი სკოლის ერთ–ერთი დამაარსებელი იყო. თვითონ ბაბუა ამ სკოლაში, შემდგომ რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. განათლება ქუთაისის გიმნაზიაში ჰქონდა მიღებული. ბაბუა–ბებიები, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან ლენინის ორდენოსნები, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები გახლდნენ. ბაბუაჩემის–გიორგი ახალაიას შთამომავლობა დღემდე 34 პედაგოგს ითვლის.

ჩვენი ოჯახის პედაგოგიური დინასტიის (ახალაიების დინასტიის) შესახებ არაერთხელ დაბეჭდილა სტატიები საკავშირო, თუ რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე. ახლახან გამოიცა წიგნი „წარსული ცხოვრების ფურცლები“, სადაც საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი ჩვენი დინასტიის შესახებ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი პრესის ფურცლებიდან მადლობა გადავუხადო ამ წიგნის ავტორს, შესანიშნავ პიროვნებას ბატონ დავით ახალაიას.

მე იმთავითვე სხვა გზა ავირჩიე. საჯიჯაოს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განვაგრძე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მივიღე ეკონომისტის კვალიფიკაცია.

მუშაობა დავიწყე ხობის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოში ეკონომისტად. პრაქტიკული საქმიანობა არასდროს არ არის თეორიული ცოდნის იდენტური და პირველ ნაბიჯებს ნერვიულობაც ახლდა თან, მაგრამ იქ დამხვდნენ პროფესიონალი ადამიანები, რომლებიც საქმიანობას მიადვილებდნენ. განსაკუთრებით მინდა გავიხსენო საინჟინრო–ტექნიკური განყოფილების უფროსი, უნიჭიერესი პიროვნება, მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მატარებელი ბონდო კეკელია. უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის წმინდა სულს... ქედს ვიხრი მისი ხსოვნის წინაშე.

1998 წლის 1 მარტიდან დღემდე ვმუშაობ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონულ განყოფილებაში. ვარ მთავარი სპეციალისტი. ორგანიზაციაში საქმიანობა მეტად მრავალმხრივი და ამავე დროს საპასუხისმგებლოა. ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მეტად რთულია ბენეფიტებთან ურთიერთობა. მაქსიმალურად ვცდილობ მათ სრულად, მარტივად, გასაგებად შევთავაზო საკანონმდებლო ნორმებით გათვალისწინებული ყველა სერვისები, რისთვისაც ხშირად მადლიერებას გამოხატავენ. ეს კი ჩემთვის მეტად ღირებულია..

მყავს მეუღლე, სამი შვილი და შვიდი შვილიშვილი.

მეუღლე **ანატოლ სიჭინავა** პროფესიით აგრონომია. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამჟამად მუშაობს შპს „კოლხეთი და კომპანიაში“ მენეჯერად.

სამივე შვილი დაოჯახებულია, ისინი ჩვენი სიმდიდრე და სიამაყე არიან.

სალომე სიჭინავა–(სპეციალობით პედაგოგია), მუშაობს ქ. თბილისის 116–ე სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. სალომეს ყავს მეუღლე მამუკა შონია –სპეციალობით ეკონომისტი, დასაქმებული კერძო სტრუქტურაში მთავარ მენეჯერად და ორი ვაჟი–მიხეილი და სანდრო.

თამუნა სიჭინავა–(სპეციალობა–ინფორმატიკა და მართვის სისტემები), მუშაობს ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში–გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელ პირად. მეუღლე–გიორგი ბუკია, სპეციალობით იურისტი, შპს „კოლხას“ დირექტორი, ხელმძღვანელობს საქართველოში პირველ სიმინდის ზეთის ქარხანას, რომელიც მთავრობის ხელშეწყობით და თანადაფინანსებით აშენდა და უკვე სატესტო რეჟიმში მუშაობს. თამუნას და გიორგის ყავთ ოთხი შვილი: ტატა, გოგი, ნუცა და ალექსანდრა.

ლევან სიჭინავა–ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. ხობის №1 საჯარო სკოლა, ასპროცენტიანი სახელმწიფო დაფინანსებით ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობაზე, ამჟამად სწავლობს მაგისტრატურაზე და არის ერთ–ერთი მსხვილი კომპანიის (შპს „ჯორჯიან გრუპი“) დამფუძნებელი, რომელიც მისი მართვის ქვეშ აერთიანებს ორ ობიექტს. ლევანის მეუღლე ნინა პირტახიაა, რომელიც არის პოლიტიკურ მეცნიერებათა და ასევე საჯარო საქმიანობის მართვის სპეციალისტი. მუშაობს დასაქმების სააგენტოში (ეიჩარი) უფროს კორპორატიულ მენეჯერად. რამდენიმე დღის წინ ლევანს და ნინას შეეძინათ ვაჟი –ანდრია სიჭინავა. ჩვენს ოჯახს მეშვიდე შვილიშვილი შეემატა, ძალიან დიდ სიხარულს განვიცდით.

ვარ ბედნიერი დედა და ბებია. ვხარობ მეუღლესთან ერთად შვილების და მათი ოჯახების ბედნიერებით. შვილიშვილები გვიხალისებენ და გვიხანგრძლივებენ სიცოცხლეს. მადლობა უფალს იმისთვის, რომ შვიდივენი არიან ჯანმრთელები, გონიერები და მჯერა, ქვეყნის სასახელოები გაიზრდებიან.

* * *

როგორ შეიძლება არ დაეთანხმო, ასეთი წინაპრების შთამომავალნი სასახელონი გაიზრდებიან და ივლიან სამშობლოს გასახარად და სადიდებლად უკიდეგანო სივრცეში, ქვეყნის, მშობლიური მიწის სიყვარულით გარემოსილნი.

მჯერა, ჩემი პოზიტიური რესპონდენტის გაცნობის შემდეგ თქვენც, ძვირფასო მკითხველო, პირუთვნელო მსაჯულნო, დადებითი ემოციებით აივსეთ, რადგან ჩვენს გვერდით ცხოვრობს ოჯახი, რომელიც გვეიმედება, ჭირსა და ლხინში შეგვეხიდება, გვერდს დაგვიმშვენებს...

P.S. ***სარვამარტო მოლოცვა მინდოდა, სიტყვა გამიგრძელდა. ეს ჩემი სხვისი სიხარულითა და ბედნიერებით ცხოვრებისგან მიღებული სიხარულის ერთ-ერთი მაგალითია.***

ქალთა დღესასწაულებს გილოცავთ ძვირფასო ქალბატონებო! იმზეგრძელეთ, სიცოცხლის საწყისად და ქვეყნის საბედნიეროდ.

მერი ლაგვილავა.

3 მარტი გაზაფხულის დღესასწაულებს 8 მარტი გილოცავთ!

ადამიანის ღირსება განიზომება გონებრივი სიმაღლით,ზნეობრივი სისპეტაკით და სიკეთით, რომელსაც იგი თესავს თავისი მოღვაწეობით.

ბუნებრივია, გაზაფხულის დღესასწაულზე, გონება უხმობს ჩვენთვის ნაცნობ სახელოვან ადამიანებს. საბედნიეროდ, ჩვენი მუნიციპალიტეტის სინამდვილეში მათი რიცხვი იმდენად დიდია, არჩევანის გაკეთება ძნელია ... და მაინც, მრავალთაგან ერთ-ერთ წარმატებულ ქალბატონს, ხობის მეორე საჯარო სკოლის უფროს მასწავლებელს ლუიზა ბასილაია-ანთიას ვესტუმრე.

„მთავარია მიზანდასახულობა და დაუღალავი შრომა“

ქალბატონო ლუიზა, მრავალშვილიანი დედა და ,,ათასი ბავშვის მშობელი“ ბრძანდებით, მოგვიყევით ცოტა რამ თქვენზე.

–დავიბადე სოფელ ახალ ხიბულაში. დავამთავრე ახალი ხიბულის საშუალო სკოლა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა მათემატიკის ფაკულტეტი. ჯერ კიდევ მეოთხეკურსელმა დავიწყე მუშაობა ხობის მეორე საშუალო სკოლაში (ფიზიკის მასწავლებლის არყოლის გამო, როგორც წარჩინებული სტუდენტი, მომიწვიეს). ჩემი ორივე და, ნინო (მათემატიკოსი), ლალი (დაწყებითი განათლების) მასწავლებლები არიან.

დაოჯახების შემდეგ ვიყავი თორსის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი და სკოლის დირექტორი. ამჟამად ვარ უფროსი მასწავლებელი.

მყავს მეუღლე ფრიდონ ანთია–სახელმწიფო უსაფრთხოების პოლკოვნიკი (ამჟამად თადარიგში) და ოთხი შვილი.

ვიდრე სკოლასა და განათლებაზე ვისაუბრებთ, მომიყევით ოჯახზე, შვილებზე, რამ განაპირობა მათი წარმატება, თქვენმა განსაკუთრებულმა მზრუნველობამ, ნიჭიერებამ, იღბალმა თუ?... მოკლედ, რა არის მთავარი, რომ ახალგაზრდამ ამ ასაკში ასეთ წარმატებას მიაღწიოს, მომიყევით მათ შესახებ.

–მართლაც ბედნიერი დედა ვარ. ჩემმა ოთხივე შვილმა ხობის №2 სკოლა დაამთავრა. ნათია და ხატია კლასელები და თანაკურსელები არიან. დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი და მიენიჭათ დიპლომირებული მედიკოსის ხარისხი, ნათიამ სწავლა გააგრძელა თსსუ–ში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრატურაზე და პარალელურად მუშაობდა სხვადასხვა კლინიკებში.

მონაწილებას ღებულობდა საერთაშორისო კონფერენციებში, მისი ნაშრომები დაიბეჭდა სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში, მიწვეული იყო ქალაქ კიევში კონფერენციაზე. შემდეგ მუშაობა დაიწყო თსსუ–ში მოწვეულ ლექტორად, ასევე არის სამეცნიერო უნარ-ჩვევების დეპარტამენტის ლაბორატორიის გამგე, ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს, არის თსსუ–ს დოქტორანტი.

რაც შეეხება ხატიას 2016 წელს დაამთავრა საქართველოს უნივერსიტეტის მაგისტრატურა მაგისტრის ხარისხით ჯანდაცვის ადმინისტრირებაში. გაიარა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის კურსი ჩესტერის უნივერსიტეტში ინგლისში, ასევე „საერთაშორისო თანამეგობრობის ჯანდაცვის“ სამაგისტრო კურსი ნორვეგიის ოსლოს უნივერსიტეტში. ამჟამად არის გერმანიის ქ. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის (დაარსებულია XIII საუკუნეში, მსოფლიო რეიტინგში არის 42-ე ადგილზე) დოქტორანტი, ჰაიდელბერგის გლობალ ჯანმრთელობის ინსტიტუტის წევრი. 2018 წელს მონაწილეობას ღებულობდა სლოვენიის ქ. ლუბლიანაში გამართულ ჯანდაცვის მსოფლიო კონგრესში, როგორც დელეგატი საქართველოდან.

სხვადასხვა დროს მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ისრაელში, რუმინეთში. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია უცხოურ და ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში. გააჩნია მუშაობის გამოცდილება საავადმყოფოებში, სადაზღვევო კომპანიებში, საქართველოს ჯანდაცვის ასოციაციაში (იყო დირექტორის მოადგილე). მოწვეული ლექტორის სტატუსით თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან და საქართველოს უნივერსიტეტთან. ლექციებს კითხულობს ქართულ და ინგლისურ ენებზე. საქართველოს უნივერსიტეტში არის მაგისტრანტების დიპლომის პროექტების ხელმძღვანელი, გაცვლითი პროგრამებით უცხოეთში გასაგზავნ სტუდენტთა შესარჩევი კომისიის წევრი, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების კოორდინატორი. გადის გერმანული ენის გაძლიერებული სწავლების კურსს.

ხატია განსაკუთრებით არის დაინტერესებული სოციალური და ჯანდაცვის პოლიტიკის საკითხებით, როგორიცაა ჯანმრთელობის მიმართ უთანასწორობის შემცირება, ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მიგრანტების და მოწყვლადი მოსახლეობის ჯანმრთელობა. მისი კვლევის მთავარი მიზანია მშობელთა მიგრაციის შედეგად დაზარალებულ ბავშვთა საჭიროებების შესწავლა და ეფექტური და მისაღები სტრაგედიის შემუშავება რათა შემცირდეს და თავიდან იქნეს აცილებული ბავშვებზე მიგრაციის ნეგატიური ზემოქმედება. პროექტის დასახელება: დროებითი შრომითი მიგრაცია და მისი გავლენა საქართველოში მცხოვრებ ბავშვებზე. პროექტის ხელმძღვანელია ჰაიდერბერგის უნივერსიტეტის დოქტორი ფოლკლერ ვინკლერი.

მარიკამ დაამთავრა თსუ-ს ტურიზმის მართვის და ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტი, ამჯერად ცხოვრობს გერმანიაში, ქალაქ ბერლინში. სწავლას და მუშაობას ერთმანეთს უთავსებს, ფლობს რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებს.

კარლო სწავლობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის ფაკულტეტის დამამთავრებელ კურსზე. ძალიან შრომისმოყვარეა, კარგადაც სწავლობს და მუშაობს კიდეც კერძო სტრუქტურაში. გასულ წელს დაოჯახდა. გვყავს ულამაზესი რძალი, ხობელი მარიამ რამიშვილი–ექიმი სტომატოლოგი, მუშაობს ავერსის კლინიკაში.

როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი სკოლა, ოჯახი თუ?..

–ჩემი აზრით მთავარია სკოლა, ოჯახი და საზოგადოება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვის დაინტერესება და მონდომება. მიზანდასახულობა და დაუღალავი შრომა. ალბათ, არსებობს იღბალიც.

რაც შეეხება ნიჭიერებას, ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებიდან გამომდინარე გეტყვით, რომ უნიჭო ბავშვი არ იბადება. მთავარია ნიჭის მიგნება და აღმოჩენა, რაც მშობლის და მასწავლებლის ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოხდეს, (ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. მამა აკაკი ბასილაია მათემატიკის ნიჭით გამოირჩეოდა, კარგად ხატავდა (ჩემი დაც ხატავს) და ძალიან განიცდიდა, ობლობის გამო, სწავლა რომ ვერ გააგრძელა. ამიტომაც ცდილობდა ჩვენთვის განათლება მიეცა, ამას ახლა ვამბობ, იმ წლებზე სინანული მალაპარაკებს, ამით მის სულნათელ სახელს ვეფერები...

როგორც ვიცი, ასეთი ახალგაზრდები უკვე შვილიშვილს ელოდებით. რას ნიშნავს, იყო ღირსეული ქალი, მეუღლე, დედა.

–აცთუ ისეთი ახალგაზრდები ვართ, მაგრამ ეს უდიდესი ბედნიერებაა. ალბათ, ყველა ქალის ოცნებაა გახდეს დედა და ბებია. იყო ღირსეული, ნიშნავს სიყვარულით აკეთო შენი საქმე, პირნათლად ემსახურო შენს ქვეყანას, მეუღლეობის და დედობის შეფასების კრიტერიუმი არის შენს მიერ გავლილი გზა, შენი ოჯახი და შვილები.

რას ნიშნავს თქვენთვის დედის დღე, 8 მარტი?

–ცხოვრებაში ქალის როლის კიდევ ერთხელ აღიარებას და მისადმი პატივისცემას. სხვა სიხარული და სიამაყე მეუფლება ამ დღეს. ვღებულობ მოლოცვებს უსაყვარლესი ადამიანებისგან... მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით დედის დღე მივულოცო დედაჩემს–ნონა აბრალავას, ასევე ვულოცავ სრულიად საქართველოს დედებს, ქალბატონებს და ვუსურვებ თავისუფალ, მთლიან, ძლიერ საქართველოში ეცხოვროთ თავიანთ ოჯახებში და ახლობლებთან ერთად. განსაკუთრებული სიყვარულით და მოწიწებით მინდა მივულოცო საქართველოდან ემიგრირებულ ქალბატონებს, ვუსურვო მათ ჯანმრთელობა და უახლოეს მომავალში სამშობლოში დაბრუნება.

ვის მოისაკლისებთ ამ სადღესასწაულო დღეს და ვის მიულოცავდით უპირველად?

–ვის მოვისაკლისებ? ვინც ყოველდღე მაკლია ეს პირველ რიგში მამაჩემია, ჩემი დედამთილი ბაბუცა ანთია, მული ლამზირა, ბიძაშვილი მერაბ ბასილაია, დეიდაშვილები თემურ გოგინავა და კობა წურწუმია, ჩემი მეზობელი, ნათესავი და მეგობარი მაგდანა (ციცო) ცქიტიშვილი, კოლეგები: ლალი სურმავა, თეა ქაქუთია, ლამარა კვარაცხელია, ლიანა ჭითანავა.

ნივთი, რომელსაც პირველი შვილიშვილისთვის საგულდაგულოდ ინახავთ?

–ბეჭედი, რომელიც დედაჩემმა მისახსოვრა და ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მის შვილთაშვილს „ელოდება“.

მოსწავლე, რომელმაც იმედი გაგიმართლათ, ვისი წარმატებითაც ხარობთ?

–ასეთი მოსწავლეები ბევრი მყავს, მათი წარმატებებით მე კი არა, მთელი სკოლა ხარობს, მათგან ვინმეს გამოყოფა გამიჭირდება და უხერხულადაც მიმაჩნია.

თქვენი ყველაზე დიდი მიღწევა?

–ერთი ჩვეულებრივი რიგითი მასწავლებელი ვარ. მინდა ჩემი გაკვეთილები საინტერესო და ხალისინი იყოს მოსწავლისთვის. ყველა დღე თუ გაკვეთილი საინტერესო გავხადო. აქამდე ერთი გაკვეთილი არ ჩამიტარებია ისე, უბრალოდ, სიყვარულის გარეშე. როცა შენს წინ მსხდომ მოსწავლეთა აციმციმებულ თვალებს უყურებ, სხვა ბედნიერება უკანა პლანზე გადადის, ყველა პრობლემა გავიწყდება.

სკოლა მუდმივად განახლებადი ცოცხალი ორგანიზმია და შენც სიცოცხლის წყურვილს გიასკეცებს. ბგავალდებულებს ყოველდღე ახალ-ახალი სიმაღლეების დასაპყრობად ემზადებოდე. ამას მასწავლიდნენ ჩემი პედგოგები: კარლო ვარდია, ეთერ ჯოჯუა, მედეა ვარდია, დემურ ხარამიშვილი. ქეთინო ვარდია.

ჩემი ყველაზე დიდი მიღწევაა ის, რომ ვარ დედა და ვხარობ შვილების ცხოვრებით, მათი ყოველდღიურობით, სწავლის, ცოდნის გაღრმევების წადილით... ამასთანავე ვარ მასწავლებელი და ახალგაზრდა თაობას ვემსახურები და დედობრივ სითბოს ვუნაწილებ თითოეულ მათგანს. სხვა ბედნიერება არსებობს?

ქალბატონო ლუიზა, რა შემიძლია გისურვოთ, ყოველმხრივ სრულყოფილ ოჯახს, მხოლოდ ჯანის სიმრთელე, ფიზიკური ძალა უფრო და უფრო გასაძლიერებიად და სხვათა სასიკეთოდ.

ესაუბრა მერი ლაგვილავა.

3 მარტი გაზაფხულის დღესასწაულებს 8 მარტი გილოცავთ!

წიგნის პრეზენტაციაზე

„თავისუფლება დუმილში ვპოვე“

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მცირე დარბაზში მოეწყო პოეტისა და პროზაიკოსის ნინო კემულარიას მეოთხე წიგნის „დუმილის ხმაურის“ წარდგენა მკითხველთა წინაშე.

საღამოს უძღვებოდა პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული, მუდამ შემოქმედებითი ძიებით დამუხტული, უდაოდ ნიჭიერი ადამიანი ბატონი **ბეჟან ნადარაია**.

დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი, ყვავილებით მოჩითული სცენის ერთ კუთხეში იჯდა პოეტი ულამაზესი კრებულით და მოკრძალებით ისმენდა მისი პოეზიის სადიდებელს.

–„ნინო ბავშვობიდან წერდა ლექსებს, წერდა თავისთვის ფიქრისა

და გულისნადებს ლამაზ სტიქონებში აქსოვდა. ბოლოს პოეზიისადმი მოზღვავებული სიყვარული გულმა ვერ დაიტია და გაზეთის ფურცლებით გახმიანდა.

ნინოს ლექსები იწერება ხალისით, წრფელი გულით. დამაფიქრებელია, მისი ლექსების თემატიკა, ჟანრობრივი მრავალფეროვნება, წერის მანერა და სტილი, ორიგინალური აზროვნება, ამიტომაც იგი ერთი წაკითხვითაც გვამახსოვრდება.

სამშობლო, მამული ყველა ქართველის საფიცარი და სიყვარულის წყაროა, ამდენად არ არის გასაკვირი, რომ ნინომ ლექსებში „სამაჩაბლო“ და „აფხაზეთი“ ჩააქსოვა თავისი ფიქრი და ოცნება. ამ ლექსების სტრიქონებში გამოჩნდა მისი მდიდარი პოეტური სამყარო. არ შემიძლია, ყურადღება არ შეეჩერო კიდევ ორ დიდებულ ლექსზე, რომლებიც მის მშობლებს ეძღვნება. ამ ლექსებში ჩატეულია დედ-მამის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი, მრავალმეტყველი მწუხარება და განცდა, რომელიც ყველა დედ-მამა დაკარგულ შვილს შეძრავს და მის მოზიარედ გახდის“. ასე დაიწყო და დაასრულა თავისი სათქმელი ბეჟან ნადარაიამ.

* * *

ყველაფერი ნათელია... შესანიშნავი ფორმები და რითმები, რიტმი, ლექსის უნიკალურობა, სიფაქიზე გულის ფეთქვა, მკითხველამდე მიტანის უნარი, ვაჟკაცობა, სიყვარული და რაც მთავარია, სამშობლო ჩვენი, ხალხი, ჩვენი ტკივილი და ლხინი ჩვენი...

ლამაზი სულის, მზეობისა და ნიჭის მქონე კოლხმა ასულმა იცის რა თქვას, როგორ თქვას, მას ბრწყინვალედ აქვს გათვითცნობიერებული, რომ ის მშობლიური თვისებები, აღტკინებული წარსული, ურომლისოდაც არ არსებობს ჭეშმარიტება, სიცოცხლე, ნამდვილი სიყვარული და იმედი უკეთესი მერმისის...

განსაკუთრებულად ამაღელვებელია მისი ლექსი „9 აპრილი“ „9 აგვისტო“, „ივნისის ცამეტი“, რომელიც მკითხველში დიდ ტკივილს იწვევს, მაგრამ გულით მდიდარი პოეტი ისევ გულით ცდილობს ცრემლი მოგვწმინდოს და იმედით აგვანთოს.

საღამოზე ნინოს მისამართით ბევრი თბილი სიტყვა ითქვა, უამრავი ყვავილი და უკიდეგანო ემოციებისგან ათრთოლებული ხმები, აქა-იქ სიხარულის ცრემლიც, უამარავი საჩუქარი და სახსოვარი. სალექსო სტრიქონებად აკინძული სათქმელი, სიყვარულის გამოცხადება, მადლიერების სტრიქონები და ცნობილი ჭეშმარიტების ერთხელ კიდევ დადასტურება, რომ „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს“, რომ „კარგი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე–წინ დაგხვდება“...

* * *

მადლობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის თითოეულ თანამშრომელს ნინოს წიგნის „დუმილის ხმაურის“ გამოცემისთვის, თანადგომისთვის, მხარდაჭერისთვის. მადლობა მოწვეულ სტუმრებს, პოეტებს, ნინოს მეგობრებს, ხობელებს მობრძანებისთვის.

მადლობა პოეტ **ჭაბუკა ქოიავას,** მის მიერ წაკითხულმა ლექსმა „ყაყაჩო“ მოხიბლა მთელი დარბაზი.

მქუხარე აპლოდისმენტები კოლხ პოეტს შოთა **წურწუმიას, პოეტ ლია ნაროუშვილს, ვასილ ბესელიას, როენა ბუბუტეიშვილს**.

მადლობა ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თითოეულ თანამშრომელს, განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ **დოდო გაბუნიას**, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს, სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებას, თითოეულ ხობელს, ყველას, ვინც გაიხარჯა, რომ საღამო ყოფილიყო ლამაზი, ემოციებით დატვირთული და ამაღლებული.

მადლობა გაზეთი „ხობის მოამბეს“ თანამშრომლებს, კოლეგებს, რომლებიც წლების განმავლობაში ბეჭდავდა ნინოს შემოქმედებას და აცნობდა მკითხველს.

მადლობა თითოეულ მონაწილეს ქალბატონ **დალი გერგაიას**, ანსამბლ „კოლხეთს“ ლოტბარ **ნუგზარ ზარანდიას** ხელმძღვანელობით, ბატონებს **ბადრი ლომაიას,** მსახიობსა და რეჟისორ **რამაზ ლოლუას,** პატარა მომღერალს **ბარბარე ლოლუას**, კულტურის ცენტრის დირექტორს ბატონ **ბორის ბერაიას,** ღონისძიების სცენარის ავტორს **ბეჟან ნადარაიას**, თითოეულ თანამშრომელს. სწორედ, მათი თანადგომითა და მხარდაჭერით მოეწყო ეს ლამაზი ღონისძიება, რომელსაც პოეზიის სიყვარულის, ერთგულების, მადლიერების საღამო ერქვა. რომელიც საზოგადოებამ შეაფასა, რომ კულტურის ცენტრის მიერ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენით, უკიდეგანო სიყვარულით, ერთგულებით, ტკივილითა და სიხარულით, ლამაზი სევდით ჩამოქნილი სტროფების მათთან მიტანით. კიდევ ერთხელ აზიარეს პოეზიის მადლს, რომლის ფენომენის მიმართ სიამაყითაც სწორედ ასეთი საღამოები განგვაწყობს.

ნინოს ლექსებზე არაერთი სიმღერაა შექმნილი პოეზიის საღამოს შემდეგ ნიჭიერმა და შემოქმედმა ადამიანმა ბატონმა კობა კვიკვინიამ ნინოსადმი პატივისცემა მის ლექსზე „ხობი“, სიმღერის შექმნით გამოხატა. დიდი მადლობა მას.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის აღფრთოვანება და სიხარული, რომელიც გამოიწვია ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ გოჩა ქაჯაიას მილოცვაში გაჟღერებულმა სიტყვამ, „ჩვენ დავაფინანსებთ ნინოს მეხუთე წიგნს“.

ქუხდა დარბაზი, იყო ოვაციები, აპლოდისმენტები.

...და ასეთი ლამაზი, მშვიდი, სიცოცხლის, სიყვარულის, თანადგომის ქალაქია ჩემი ხობი. მადლობა ხობს და ხობელებს.

თითქმის არავის სურდა ამ მშვენიერი საღამოს დასრულება. აქ იყო ურთიერთგაცნობა, სამახსოვრო ფოტოების გადაღება, მოფერება, ნინოს გაბრწყინებული და ბედნიერი სახე.

საქართველოში ყველა ქართველი პოეტია, პოეტი კი ორჯერ პოეტი, ამიტომაც მეც გავბედე ექსპრომტად სიტყვის თქმა

გავგიჟდი შენი ლექსების
ცეცხლით,
ერთხელ ხომ, მაინც გიჟდება
ყველა.
კოკისპირული წვიმაც ვერ
აქრობს
ლექსის და მუზის ზღვა
საოცრებას,
ჩავაბილიკებ ნაცნობ ორშარებს
იქ, ყოჩივარდებს უთუოდ
დავკრეფ,
ჩავიძირები მოგონებებში
და ოცნებების ავუშვბ აფრებს...

...ქაღალდზე ნაჩქარევად დაწერილი სტრიქონები ის აღარ არის, რაც გულში მიტრიალებს და რასაც განვიცდი.

იარე, იარე, იხეტიალე მუზის სამყაროში ჩემო ნინიკო!

ველოდებით ახალ წიგნს.

ნაირა ბერაია.

3 მარტი გაზაფხულის დღესასწაულებს 8 მარტი გილოცავთ!

დედა, ბებია, აღმზრდელი!..

გაზაფხულის სურნელი ტრიალებს გარემოში. დიდი ხანია გამოჩნდნენ იები, ფურისულები, ყოჩივარდები, ენძელები, ნარცისებიც აყვავდნენ. ხეებს დასკდომიათ კვირტები, აყვავილდნენ.

მარტი ქალის, დედის დღეა და ამიტომაც უყვარს ყველას, გაზაფხული ხომ სიახლის, მოლოდინების თვედ ითვლება. ბევრჯერ ლამაზი, ზოგჯერ ტკივილიანი...

მარტია–დედის, ქალის დღე, ამ დღისადმი მიძღვნილი „ხობის მოამბის“ ნომრისთვის ჩემს ცნობიერებაში ერთი ქალბატონის, მუდამ ახალგაზრდული განწყობით მყოფი მაყვალა ბახტაძე-ჭიჭინაძის სახე ამოტივტივდა. მის სახელს მის ხელშიგამოვლილი პატარები, მაგრამ, ახლა უკვე დიდები, თბილად, ტკბილად მოიხსენიებენ და ახარებთ, რომ ამჯერად შვილებს აბარებენ მას და თავიანთ ბავშვობასაც იხსენებენ.

მასზე ოჯახში ხშირად ვსაუბრობთ. ქალბატონი მაყვალა ათეული წელია ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში აღმზრდელად მუშაობს. რთულია იმუშაო ძალიან პატარებთან, მათი განწყობით იცხოვრო, გაუგო ისეთ ბავშვებს, რომელთაც, უფრო ზუსტად, ბევრ მათგანს დამოუკიდებლად ჭამა და სიარული არ შეუძლიათ. კარგად საუბარსაც ვერ ახერხებენ. მაყვალა და მისი თანამოსაქმეები–აღმზრდელები და აღმზრდელის თანაშემწეები ამ ყველაფერს თავს კარგად ართმევენ.

ამ ქალბატონს ახასიათებს უდიდესი პასუხისმგებლობა, პატარებისადმი ყურადღება, იჩენს სითბოსა და სიყვარულს მათ მიმართ. ამიტომაც პატარები მალევე ეჩვევიან მას, იქაურ გარემოს და მაყვალა ბებოს–მასწავლებელ–აღმზრდელს ეტმასნებიან და უყვართ. პატარებს ყველა თვისებასთან ერთად მოსწონთ მისი იუმორიც.

ის ჩემი შვილის, რძლის და შვილიშვილების აღმზრდელია. დღეს კი ჩემი მეოთხე შვილიშვილის ალექსანდრას „მეგობარია“, ერთმანეთსაც ხშირად აღვიძებენ (იუმორით) „ჩემი პატარა სახლშიც ხშირად იძახის –„მაყვალა, გაიღვიძე!..“

წლები გაილია ბაგა-ბაღთან ერთად... ის ძალიან აქტიური ადამიანია, თბილი, ყურადღებიანი, დაუღალავი, ასობით პატარას აღმზრდელი და მათი წუხილისა თუ სიხარულის თანაზიარი გახლავთ. არასდროს წუწუნებს. უყვარს თავისი სამუშაო, თავისი საქმე და თავისი პატარები.

აქ გაიზარდნენ და იზრდებიან მისი პატარები. ქალბატონი მაყვალა ბაგა-ბაღის ყველა საზეიმო ღონისძიების მონაწილე და აქტივისტია. ყველას უყვარს ეს უანგარო ადამიანი.

ამაგით სავსე ადამიანო, გილოცავთ მარტის ლამაზ დღესასწაულებს. უთვალავ გაზაფხულს მოსწრებოდეთ დედავ, ბებიავ, აღმზრდელო! თქვენთან ერთად ვულოცავ ამ ლამაზ დღეებს №2 ბაგა-ბაღის ყველა თანამშრომელს.

ნანი კილასონია

ბლიც-ინტერვიუ

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილე

სახელი–ია.

გვარი–ჯიშკარიანი

საქმიანობა?

–პოლიტიკა.

თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე?

–ყოველი დღე ლამაზია.

რას ინატრებდით?

–დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრებას!

სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ?

–რეალისტი ვარ.

ყველაზე მეტად რას არ ისურვებდით?

–გონებრივ სიბნელეს.

ვის გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ?

–ოჯახის გარეშე.

თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე?

–ადამიანის სიყვარული.

თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?

–ვერ ვიხსენებ.

რისი გჯერათ?

–საკუთრი თავის.

რასაც არასოდეს გააკეთებდით?

–დაშვებული შეცდომის განმეორება.

ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება?

–სულის სიმტკიცე.

ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?

–უარყოფითი ენერგიის.

ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირად იყენებთ?

–ბევრია ძალიან.

რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?

–10 მცნება.

რითი ილამაზებთ ცხოვრებას?

–მეგობრებთან ურთიერთობით.

როგორ გინდათ დაგიმახსოვრონ?

–სამართლიანი (სამართლიანობისთვის მებრძოლი).

თქვენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდით?

–არაფერს.

რისი თქმაც ადრე გინდოდათ და დღეს ჩვენთან იტყვით?

–არასოდეს უღალატოთ სამშობლოს. გააკეთეთ სწორი არჩევანი, ნუ იოცნებებთ!

სტუმრად მუსიკოსთან

...მიყვარს, როცა გავივლი სახლის წინ და ფანჯრებიდან ფორტეპიანოს ჰანგები შემოგესმება, ან კიდევ, მხრებზე ვიოლინო გადაკიდებული კაფანდარა გოგონა ჩაგივლის და ღვთაებრივი საკრავისა და ყმაწვილქალობის სურნელს ტოვებს...

ჩემი რესპოდენტი მუსიკოსია...

მასთან სტუმრობამ სასიამოვნო განწყობა შემიქმნა... (ეს მუსიკოსის ქალბატონ ნაზი ბერაიას დამსახურებაა), ქალბატონი ციცო დევიძე–გამორჩეული შინაგანი კულტურით, ინტელექტით, შეუდარებელი იუმორით, უბრალოებით, კეთილშობილებით, საოცარი სტუმარ-მასპინძლობით, ყველა იმ თვისებებით, ასე რომ ალამაზებს და ამშვენებს ადამიანებს.

დიდი სიყვარულით მოგიკითხავთ ქალბატონო ციცო, ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაბედნიეროთ, სიხარული და ჯანმრთელობა არ მოგაკლოთ უფალმა.

გილოცავთ გაზაფხულის უმშვენიერეს დღესასწაულებს.

მის თვალებზე ცრემლები კიაფობდა...

მომეჩვენა თითქოს ცრემლებით თავის ფიქრებს ამხელდა...

„ეჰ, არის წუთები როცა წარსულზე ნოსტალგია გაწუხებს, იგონებ შენ უახლოეს ადამიანებს, მეგობრებს, ახლობლებს. ეს მოგონებები შემდეგ ტკივილია, გენატრებიან, ნატვრა წუხილად გექცევა და...

რას იზამთ, ასეთია წუთისოფელი...

სოხუმი ჩემი ტკივილია, სევდაა, მწუხარებაა. ხობი კი მშობლიურია, ჩემი მიწაა, ჩემი მზე, ჩემი მთვარე... მიყვარს აქაურობა...“

ქალბატონ ციცოს მეტად საინტერესო ბიოგრაფია აქვს, ეს თითოეულმა ხობელმა იცის. ჩემი სურვილია, ის მალე გამოჯანმრთელდეს, მისეულად ბუბუნებდეს და ჩვეული რიტმით ფორტეპიანოზე აწკრიალებდეს.

მას ხომ ფანტასტიკურად უყვარს თავისი საქმე, ოჰ, ფანტასტიკურად...

ბოლოს ასე დავამთავრებდი, რამდენი დალოცვილი, საუკუნეგამოვლილი სიტყვა გვაქვს ქართველებს მათ შორის „მშვენიერი“.

მართლაც თქვენ, მშვენიერი და სიცოცხლით სავსე ქალბატონი ხართ, გეფერებით, მაპატიეთ, რომ ამ პატარა წერილში ვერ გამოვხატე ის დიდი სითბო და სიყვარული, რომელიც თქვენთან სტუმრობისას ვიგრძენი. მადლობა თქვენ, დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ.

ნაირა ბერაია.

სპორტი

მინიფეხბურთი

დამთავრდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის დათა ხურცილავას სახელობის თასის ტრადიციული გათამაშება მინიფეხბურთში. აღსანიშნავია, რომ დათა წლების განმავლობაში თამაშობდა ხობის „კოლხეთისა“ და თბილისის „დინამოს“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებში.

შეჯიბრებაში 9 გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ A და B ქვეჯგუფებში. ჯგუფებიდან პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები გადიოდნენ ნახევარფინალში.

A ჯგუფითან ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ხეთისა და ახალი სოფლის ფეხბურთელთა გუნდებმა.

B ჯგუფიდან კი სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადისა და ხობის „ჭალეს“! უბნის გუნდებმა. ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ხეთა-ჭალე, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადა–ახალი სოფელი.

პირველი ნახევაფინალურ წყვილში თამაში ხეთისა და ჭალეს გუნდებს შორის თავიდან წარიმართა დაძაბულად, თუმცა შემდეგ ხეთელებმა შეძლეს უპირატესობის მოპოვება, დამსახურებულად მოიგეს მატჩი და ფინალში გავიდნენ.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის გუნდმა აშკარა უპირატესობით 6:0 დაამარცხა ახალი სოფლის ფეხბურთელთა გუნდი და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

დათას დაბადების დღეს, 16 თებერვალს გაიმართა ფინალური მატჩი.

ხეთისა და სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის გუნდების ფინალური მატჩი მეტად საინტერესოდ წარიმართა, თუმცა შემდეგ აშკარად გამოიკვეთა სენაკის მეორე ბრიგადის ფეხბურთელთა უპირატესობა და მატჩიც მათივე გამარჯვებით–5:1 დამთავრდა.

ამრიგად, დათა ხურცილავას სახელობის თასის გათამაშებაში, მესამე ადგილზე გავიდა ახალი სოფლის ფეხბურთელთა გუნდი, რომელთაც გადაეცათ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

მეორე ადგილი დაიკავა ხეთის ფეხბურთელა გუნდმა, რომლებიც დაჯილდოვდნენ მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით.

დათა ხურცილავას სახელობის თასის ღირსეული გამარჯვებული გახდა სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ფეხბურთელთა გუნდი, რომლებიც დაჯილდოვდნენ პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით, ასევე დათას ოჯახის მიერ დაწესებული გარდამავალი თასით.

ტურნირზე ასევე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის: სხვადასხვა ნომინაციებში გამოვლინდნენ:

საუკეთესო მეკარე–გოდერძი რეკვავა (სენაკის II ქვეითი ბრიგადა);

საუკეთესო მცველი–სოსო ლატარია (ხეთა);

საუკეთესო ნახევარ მცველი–ხვიჩა სიორდია (სენაკის II ქვეითი ბრიგადა);

საუკეთესო თავდამსხმელი–გიორგი ბესელია (სენაკის II ქვეითი ბრიგადა).

საუკეთესო ბომბარდირი–რევაზ ჩიხლაძე (ახალი სოფელი), რომელსაც გადეცა ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ გოჩა ქაჯაიას მიერ დაწესებული პრიზი.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ერთხმად აღიარეს შაკო ცირამუა, რომელსაც გადაეცა სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის მიერ დაწესებული პრიზი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ქალაქ ხობში სპორტის დამსახურებულმა მწვრთნელმა მკლავჭიდში ბატონმა კობა თუთბერიძემ დააწესა პრიზი, რომელიც გადაეცა ხეთელ ლევან ხურცილავას. ასევე სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა ტურნირის მთავარი მსაჯი კალისტრატე ხურცილავა.

დაჯილდოებისას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დათა ხურცილავას ხსოვნას.

დაჯილდოებას უძღვებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ედიშერ ჯობავა, მერის მოადგილე ბატონი მახარე ჩოკორაია, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი კობა გრიგოლია, მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ბატონი ანტონ ვარდია. მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ქალბატონი ელისო კვიკვინია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ქალბატონი ნანა ბუკია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ვლადიმერ ქანთარია, ვეტერანი ფეხბურთელი ა(ა)იპ ხობის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ დირექტორის მოადგილე ბატონი ზურაბ ლატარია, მერიის სპეციალისტი ბატონი გიგა ზაქარაია.

დაჯილდოების შემდეგ ტურნირის მონაწილეებმა, ორგანიზატორებმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა და ოჯახის ახლობლებმა ყვავილებით შეამკეს დათა ხურცილავას საფლავი და აღნიშნეს მისი დაბადების დღე.

ლევან ლემონჯავა.

ხოგელთა სიამაყე ნუგზარ წურწუმია ევროპის ჩემპიონია



სერბეთის ქალაქ ნოვი სადში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა, ნუგზარ წურწუმიამ (55 კილოგრამ წონითი კატეგორია) დიდ წარმატებას მიაღწია. ხობელმა ფალავანმა ფინალურ შეხვედრაში, რუმინეთის წარმომადგენელი ფლორინ ტიტა აშკარა უპირატესობით, 9-0 დაამარცხა და ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ულოცავს ხობელ ფალავანს საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებულ ამ დიდ გამარჯვებას.

სულთათანა

„...შენი მადლი და სურნელი ახლავს!..“

ტატიანა (კატუშა) წურწუმია-კილასონია

ბევრჯერ მითქვამს, გაზაფხულის შემობრძანება განსაკუთრებით მიყვარდა. მაოცებდა და მხიბლავდა გალამაზებული ხედები, აყვავილებული ტყემლები, ატმები, ყვავილები...

სიყვარულის უდიდესი მიზეზი კი ჩემი უსაყვარლესი, ნაზი და ლამაზი დედიკოს დაბადების დღე–9 მარტი გახლდათ. სწორედ ამიტომაც ვეთაყვანებოდი გაზაფხულსა და მარტს, მაგრამ წლების შემდეგ ეს საოცარი თვე უკვე აღარ მაოცებს, აღარ მიყვარს იმ სიყვარულით, როგორც ადრე... მარტმა წამართვა ნაადრევად დედა და მეუღლე. ერთიც და მეორეც უზომოდ მიყვარდა და... ასე დაჯაბნა მათი წასვლით მიყენებულმა ტკივილმა მარტი...

26 გაზაფხული გაილია დედიკო უშენოდ. ტკივილიანი, დარდიანი, მონატრებული წლები. შენ უთბილესი, მზრუნველი, 6 შვილის აღმზრდელი დედა ყველაფერს ასწრებდი, ყველას გვინაწილებდი შენეულ სიყვარულს, სითბოს, მოძალებულ საქმეებს მამასთან ერთად. შემდეგ მეუღლის გარეშე გვპატრონობდი, დედა. შენ მზრუნველი, მოსიყვარულე მეუღლე, დედა და ბებია იყავი. წახვედი დედი, და „დაგვრჩი, დაგვრჩი ნატვრად მარადის.“

დედა, დაბადების დღის მოლოცვა ახლა, ალბათ, აღარც გხიბლავს და აღარც გსურს. როგორც ყოველთვის, შავებში ხარ, ალბათ, რადგან გრძნობ, რომ შენს ოჯახში გაუსაძლისმა ტკივილმა დაისადგურა, რადგან შენი უმცროსი ქალიშვილი, მეუღლის, უთბილესი შვილების–გიგასა და გოგას, ძმისა და დებისთვის უსაყვარლესი, საფიცარი დაიკო კლარა, შემდეგ სიძე–შვილიშვილის მეუღლე ზურაბი დავკარგეთ. დიდმა ტკივილმა გააუფერულა შენი დაბადების დღეც და ჩვენი ყოველდღიურობაც...

დედა, 73 წლისამ დაგვტოვე, წლები გადიოდა და დროის ამ სრბოლას, რატომღაც ვერ ვგრძნობდით. ალბათ, იმიტომ, რომ ისევ ისე გვიყვარდი ყველას... და ამასობაში შენ 100 წლის გახდი! 100 წლის უჩვენოდ. ნეტავ ცოცხალი იყო!..

იცოდე, ახლაც იმ ჩვენს ძველ სახლს „შენი მადლი და სურნელი ახლავს“.

გვიყვარხარ, გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს და იუბილეს!

ნანი კილასონია.

3 მარტი გაზაფხულის დღესასწაულებს 8 მარტი გილოცავთ!

წამყვანი მასწავლებლის სტატუსი

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ სამყაროში, სადაც თითოეული ადამიანი თავისებურ კვალს ტოვებს თავისი ცხოვრების წესით, პროფესიონალიზმით, განსწავლულობით...

განათლების სისტემაში უამრავი ცვლილებებია. სამინისტრო მეტად საჭირო და აუცილებელი საკითხების გადაჭრას ახორციელებს. საამისოდ მასწავლებლებს უდიდესი მისია აკისრიათ. მათი მიზანია, აღზარდონ თაობა, რომლებმაც მიზანმიმართულად აუწყონ ფეხი ცხოვრების რიტმს, ჩაუნერგონ ისეთი უნარ-ჩვევები, რომელთა ღირებულებები აუცილებელია ცხოვრებაში გზის გასაკვალად. ასეთებისთვის წარმატებები ადვილად მოსაპოვებელია, გზაც ხსნილია და თავისუფალი.

ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მრავალი ღირსეული, სერთიფიცირებული და სხვადასხვა ტიტულის მქონე პედაგოგები მოღვაწეობენ. იღწვიან თავიანთი ცოდნა გადასცენ მოსწავლეებს. მათ შორის არიან სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის პედაგოგები **ბელა ლაგვილავა** და **ნინელი ხუხია.** მოსალოცია და მისასალმებელი ახალი სტატუსი–წამყვანი მასწავლებელი, რომელიც ამ ორმა პედაგოგმა ღირსეულად მოიპოვეა.

გაზეთ „ხობის მოამბე“ ულოცავს პირველმაისელ მასწავლებლებს ამ წარმატებას და მათ მომავალ გამარჯვებებს უსურვებს.

დაე, მრავალგზის მოსალოცი წარმატებები გქონოდეთ ბავშვებზე ზრუნვაში მყოფ ადამიანებს.

ნანი კილასონია.

მოგესალმებით, გილოცავთ!

გაზაფხული და მარტის დღესასწაულები ახალგაზრდობიდან მიყვარდა. დღესაც არ გამნელებია იმდროინდელი სიხარული. დღესაც მახსოვს გაზაფხულის საჩუქრების სილამაზე და იმ ადამიანების სითბო, რომლებიც მას მჩუქნიდნენ–მშობლები, ახლობლები, მეუღლე...

უკვე თმებდათოვლილ, ასაკით დახუნძლულ ადამიანს წარსულის მოგონებები მათბობს, მაგრამ მაღელვებს კიდეც.

85 წლის გახლავართ. 8 შვილის დედა, 11 შვილიშვილისა და 9 შვილთაშვილის ბებია. ეს მთელი ცხოვრებაა. მიუხედავად წელთა სიმრავლისა, დღესაც ამ დღეს ჩემთან მოდიან შვილები, მირეკავენ და მილოცავენ შვილიშვილები... მახარებს შვილთაშვილების, რძლების, სიძეების მოლოცვები. ეს დიდი ბედნიერებაა. თავიანთი ყურადღებით, სიყვარულითა და სითბოთი მივსებენ მეუღლის ნაადრევად წასვლით გამოწვეულ სიცარიელეს.

მინდა ეს დღე უპირველესად ჩემს ქალიშვილებს, რძლებს და შვილიშვილებს მივულოცო. ამ დღესასწაულებს გილოცავთ ჩემო საყვარელო მეზობლად მცხოვრებო ქალბატონებო. დიდხანს ყოფილიყავით დედები, ბებიები, დიდი ბებიები შვილებით, შვილიშვილებით, ბადიშებით დახუნძლულები...

დაე, ლამაზი დღეები, მოლოცვები, უთვალავი წლები და სიხარული დაგბედებოდეთ. მეც მოვსწრებოდე საქართველოს გაბრწყინებულ მომავალს, გაერთიანებულ ჩემს ქვეყანას. ამას უფალსა და დედაღვთისმშობელს ვთხოვ. მათი მადლი გფარავდეთ ხობელებო!

თინა ხუფენია-ესებუა,
სოფელ პირველი მაისის მცხოვრები. მრავალშვილიანი დედა.

კეთილშობილება მისი ცხოვრების გვირგვინია



უდაოა, ადამიანის შეცნობას დრო სჭირდება, დრო და ურთიერთობები, რადგან მავანთა და მავანთა ადამიანურობის, კეთილშობილების თუ მის სულში დაბუდებული ბოროტების ამოცნობა ადვილი არ არის. (ამიტომაც თუ დაგვიანონსეს წინაპრებმა სამი ფუთი მარილის ჭამის ანდაზა).

სამსახურის ადგილსამყოფელის გამოცვლის შემდეგ მას ყოველ დილით ვხვდები, (ვგონებ ყველაზე ადრე მოდის სამსახურში), ღიმილიანი სალამი იცის, მაგრამ იმთავითვე იწყება გარდასახვა და თვალნაღვლიანი ხდება...

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგდოებრივი ცენტრის ელექტრიკოსი ვანო შეროზია მაღალი პასუხისმგებლობის, ყოველმხრივ მოწესრიგებული, ავკარგიანი, გულმართალი პიროვნებაა,–ასე გაგაცნობენ მას ხელმძღვანელები, მე კი დავამატებდი: ჩუმი და უპრეტენზიო, იუმორით დაჯილდოებული...

ერთხელ ბატონმა ბეჟან ნადარაიამ მითხრა, ბატონ ვანოსთან შეხვედრისას მწერლის გამონათქვამი მახსენდება, ვანო გამაღიზიანებლად პატიოსანი კაციაო. ე.ი. პატიოსანზე ზემაღალიო.

ბატონი ვანო საჯიჯაოელია, 40 წელი საჯიჯაოს ჩაის ფაბრიკის ელექტრიკოსი ყოფილა, 8 წელია ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომელია. გამორჩეული თვისებების მატარებელი, მეუღლის გარდაცვალების შემდეგაც ერთგულებით უწინამძღვრა ოჯახს, ორივე ვაჟი დააფრთიანა, გზაზე დააყენა, ამჟამად ბიჭების საზღვარგარეთ მუშაობის გამო, სამი შვილიშვილის და რძლის ლიდა ჩივაძის გულგასახარად შრომობს ოქროსხელება კაცი და ცდილობს ოჯახს არაფერი მოაკლოს. ამჟამად თავისუფალ დროს ეზოში ტრიალებს, რგავს, ამყნობს... გარშემომყოფთ ულამაზებს ცხოვრებას.

გაზაფხულის ულამაზესი თვის მარტის 15 რიცხვი მისი დაბადების დღეა. მინდა უდიდესი პატივისცემით, საუკეთესო სურვილებით მივულოცო დაბადების დღე, დიდი ხნის ჯანმრთელი და ბედნიერი სიცოცხლე ვუსურვო.

სიმშვიდე და კეთილშობილება, ვანო შეროზიას ცხოვრების გვირგვინია. სწორედ ასეთი პატიოსანი და ნამუსიანი ადამიანები აძლიერებენ ჩვენს მუნიციპალიტეტს, ქვეყანას.

იდღეგრძელეთ ბატონო ვანო, თქვენი შრომით გამოკემსილი ნამუსის ქუდით დიდხანს იყავით ოჯახის და ახლობლების იმედად.

მერი ლაგვილავა.

სამადლობელი

რაც დრო გადის, ცხოვრება ახალ- ახალ „სიურპრიზებს“ გვიმზადებს. ასაკთან ერთად

მატულობს საფიქრალ- საზრუნავი, ჩნდება ჯანმრთელობის პრობლემები, უფროდაუფრო გვჭირდება სითბო და სიყვარული. არც მე ვარ გამონაკლისი. მიუხედავად ყველაფრისა, ასაკმა მეც დამატყო თავისი ხელი, შემერყა ჯანმრთელობა, მაგრამ ყოველდღე უფალს ვემადლიერები, რომ მხსნელად მომივლინა ექიმი კარდიოლოგი ქალბატონი ლეილა ბუკია და მედდა მაია კუკავა. ისინი ყოველ ვიზიტზე ცდილობენ ჩემი სიცოცხლის გახანგრძლივებას. მინაწილებენ სითბოს, ერთი სიტყვით, იმედით მავსებენ, რაც დღემდე მაცოცხლებს.

მინდა საქვეყნოდ ვუთხრა მათ სამადლობელი, მივულოცო გაზაფხულის დღესასწაულები, დიდი ხნის სიცოცხლე, ულევი სიხარული და მადლიერ პაციენტთა სიმრავლე ვუსურვო...

ვერა ცხადაია,
პენსიონერი, ნოჯიხევი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.